

სტუდენტური თვითმმართველობა

სტუდენტური თვითმმართველობა - სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანოა. ბხსუ-ში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები. ფაკულტეტებში არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა არის უნივერსიტეტის თვითმმართველობა.

- ✓ სტუდენტური თვითმმართველობა შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით არჩეული დელეგატებისაგან.
- ✓ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

! სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32. პირველი სართული, ოთახი №110.

✚ სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;
- დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;
- ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონის და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას;
- შექმნას ოფტიმალური პირობები სტუდენტთა შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება.

✚ სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

- უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;

- იცავს და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;
 - უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას;
 - უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე წყვეტს სასწავლო პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებს;
 - შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა ან\და აკადემიურ საბჭოს;
 - პერიოდულად ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას და შედეგებს წარუდგენს შესაბამის საბჭოებს;
 - გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;
 - თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან;
 - გააჩნია კავშირი საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;
 - სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- ✓ დეტალურად იხილეთ ბხსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულება.
<http://batu.edu.ge/text files/ge file 31 1.pdf>